

ქალაქ ქუთაისში, ხარებავას ქუჩა N7 საცხოვრებელი სახლის  
N95 ბინაზე, მოქალაქე ლუიზა სიუკაევასათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ხარებავას ქუჩა N7 საცხოვრებელი სახლის N95 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ლუიზა სიუკაევას განცხადება /2013 წლის 12.03 Nს-3028/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ხარებავას ქუჩა N7 საცხოვრებელი სახლი N95 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ხარებავას ქუჩა N7 საცხოვრებელი სახლის N95 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ლუიზა სიუკაევას.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ხარებავას ქუჩა N7 საცხოვრებელი სახლის N95 ბინაზე /საერთო ფართობი 41,67 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 27,42 კვ.მ, დამხმარე ფართობი 14,25 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 2,50 კვ.მ./ მოქალაქე ლუიზა სიუკაევას სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატიაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრამის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,  
მერის მოვალეობის შემსრულებელი

ნ.კაჭკაჭიშვილი